საქართველოს
იუსტიციის
სამინისტრო

ნოტარიატის სისტემები:

საერთაშორისო პრაქტიკის მიმოხილვა

კვლევა მომზადებულია ანალიტიკური დეპარტამენტის მიერ

ნოემბერი, 2013

I. შესავალი 4
კვლევის მიმოხილვა 4
ლათინური ნოტარიატის სისტემის ზოგადი მიმოხილვა 4
II. სახელმწიფოთა პრაქტიკა 6
თურქეთი 6
- ნოტარიუსთა გაერთიანება, პროფესიული ნიშნით გაერთიანების წესი 6
- ნოტარიუსთა დანიშვნის წესი და კრიტერიუმები 7
- თავმჯდომარის არჩევის წესი და კრიტერიუმები 9
ესტონეთი 11
- ნოტარიუსთა გაერთიანება, პროფესიული ნიშნით გაერთიანების წესი 11
- ნოტარიუსთა დანიშვნის წესი და კრიტერიუმები 11
- თავმჯდომარის არჩევის წესი და კრიტერიუმები 12
რუმინეთი 13
- ნოტარიუსთა გაერთიანება, პროფესიული ნიშნით გაერთიანების წესი 13
- ნოტარიუსთა დანიშვნის წესი და კრიტერიუმები 13
- თავმჯდომარის არჩევის წესი და კრიტერიუმები 14
პოლონეთი 15
- ნოტარიუსთა გაერთიანება, პროფესიული ნიშნით გაერთიანების წესი 15
- ნოტარიუსთა დანიშვნის წესი და კრიტერიუმები 15
- თავმჯდომარის არჩევის წესი და კრიტერიუმები 16
გერმანია 16
- ნოტარიუსთა გაერთიანება, პროფესიული ნიშნით გაერთიანების წესი 16
- ნოტარიუსთა დანიშვნის წესი და კრიტერიუმები 17
- თავმჯდომარის არჩევის წესი და კრიტერიუმები 18
ლიტვა 19
- ნოტარიუსთა გაერთიანება, პროფესიული ნიშნით გაერთიანების წესი 19
- ნოტარიუსთა დანიშვნის წესი და კრიტერიუმები 19
- თავმჯდომარის არჩევის წესი და კრიტერიუმები 21
ჩეხეთი 21

- ნოტარიუსთა გაერთიანება, პროფესიული ნიშნით გაერთიანების წესი 21
- ნოტარიუსთა დანიშვნის წესი და კრიტერიუმები 22
- თავმჯდომარის არჩევის წესი და კრიტერიუმები 23

შვეიცარია..... 23

- ნოტარიუსთა გაერთიანება, პროფესიული ნიშნით გაერთიანების წესი 23
- ნოტარიუსთა დანიშვნის წესი და კრიტერიუმები 24
- თავმჯდომარის არჩევის წესი და კრიტერიუმები 25

ჰოლანდია..... 25

- ნოტარიუსთა გაერთიანება, პროფესიული ნიშნით გაერთიანების წესი 25
- ნოტარიუსთა დანიშვნის წესი და კრიტერიუმები 26
- თავმჯდომარის არჩევის წესი და კრიტერიუმები 26

ავსტრია..... 27

- ნოტარიუსთა გაერთიანება, პროფესიული ნიშნით გაერთიანების წესი 27
- ნოტარიუსთა დანიშვნის წესი და კრიტერიუმები 27
- თავმჯდომარის არჩევის წესი და კრიტერიუმები 28

III. დასკვნა 28

დანართი 1. ნოტარიუსთა სახეები, მათი პროფესიული ნიშნით გაერთიანების წესი 31

დანართი 2. ნოტარიუსთა პალატის თავმჯდომარის არჩევის წესი და კრიტერიუმები 35

გამოყენებული ლიტერატურა 39

I. შესავალი

კვლევის მიმოხილვა

წინამდებარე კვლევაში განხილულია ნოტარიუსის სტატუსი სახელმწიფო სისტემებში და ნოტარიუსთა გაერთიანებების მოდელები. კვლევაში დეტალურად არის აღწერილი ნოტარიუსისა და ნოტარიუსთა გაერთიანების თავმჯდომარის არჩევისა თუ დანიშვნის კრიტერიუმები და პროცედურები. დოკუმენტში აქცენტი გაკეთებულია ლათინური ნოტარიატის სისტემის ქვეყნებზე.

კვლევაში ლათინური ნოტარიატის სისტემის სახელმწიფოების მაგალითზე (თურქეთი, ესტონეთი, რუმინეთი, პოლონეთი, გერმანია, ლიტვა, ჩეხეთი, შვეიცარია, ჰოლანდია და ავსტრია) განხილულია შემდეგი ძირითადი საკითხები:

1. ნოტარიუსთა სახეები და მათი პროფესიული ნიშნით გაერთიანების წესი. ამ ნაწილში ყურადღება ეთმობა ნოტარიუსთა სახეების განხილვას და ნოტარიუსთა თანამდებობაზე დანიშვნისათვის საჭირო მოთხოვნების მიმოხილვას, ნოტარიუსთა მიერ გაერთიანების შექმნასა და გაერთიანების სახეებს.

2. ნოტარიუსთა დანიშვნის წესი და კრიტერიუმები. განხილულია ნოტარიუსთა დანიშვნის წესი და კრიტერიუმები. ყურადღება გამახვილებულია ნოტარიუსად დანიშვნის დროს გარკვეული პერიოდის განმავლობაში რომელიმე რეგიონში ნამსახურობის მოთხოვნაზე.

3. ნოტარიუსთა პალატის თავმჯდომარის არჩევის წესი და კრიტერიუმები. ნოტარიუსთა გაერთიანების თავმჯდომარის არჩევის წესი და კრიტერიუმები განხილულია როგორც ცენტრალურ, ისე რეგიონულ ერთეულებში (ასეთის არსებობის შემთხვევაში). ყურადღება გამახვილებულია თავმჯდომარის არჩევის/დანიშვნის პროცედურულ მხარეზე.

ლათინური ნოტარიატის ზოგადი მიმოხილვა

1989 წლიდან ლათინური ნოტარიატის სისტემა ფართოდ ინერგება ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში. ლათინური ნოტარიატი აერთიანებს რომაულ-გერმანული სამართლის ქვეყნებს: ალბანეთს, ბელგიას, გერმანიას, ესტონეთს, საფრანგეთს, საბერძნეთს, იტალიას, ხორვატიას, ლიტვას, ლატვიას, ლუქსემბურგს, მალტას, მონაკოს, ჰოლანდიას, პოლონეთს, პორტუგალიას, რუმინეთს, რუსეთს, სანმარინოს, შვეიცარიას, სლოვაკეთს, სლოვენიას, ჩეხეთს, უნგრეთს, თურქეთს და სხვ.

ლათინურ ნოტარიატს არ მიეკუთვნებიან ანგლოამერიკული სამართლის ქვეყნები, მათ შორის: დიდი ბრიტანეთი, ირლანდია და ამერიკის შეერთებული შტატები. ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენს, მაგალითად, ლონდონში კონტინენტური სამართლებრივი სისტემის გავლენით შექმნილი ე.წ. ლათინური ტიპის ნოტარიატი და ლუიზიანას შტატი აშშ-ში, სადაც ნოტარიატი ფუნქციონირებს ლათინური სისტემის მიხედვით. [1]

ლათინური ნოტარიატის ძირითადი ნიშანია ნოტარიუსი, როგორც დამოუკიდებელი ორგანო, რომელიც ახორციელებს სახელმწიფოს მიერ მასზე დელეგირებულ უფლებამოსილებებს, და მისი აქტები გათანაბრებულია საჯარო დაწესებულებებისა და სასამართლოს აქტებთან. [2] ორგანიზაცია „ნოტარიუსთა საერთაშორისო გაერთიანებამ“ განსაზღვრა და ჩამოაყალიბა ლათინური ნოტარიატის ძირითადი ნიშნები:

- ნოტარიუსი არის საჯარო უფლებამოსილების განმახორციელებლი პირი, რომელსაც სახელმწიფოსაგან უფლებამოსილების დელეგირების საფუძველზე შეუძლია დაამოწმოს, დაადასტუროს, შექმნას ოფიციალური ძალის მქონე დოკუმენტები; ასევე, კონსულტაცია გაუწიოს მოქალაქეებს სამართლებრივ საკითხებზე. იგი თავის უფლებამოსილებებს ახორციელებს თავისუფალი პროფესიის ფარგლებში;
- ნოტარიუსის საქმიანობა არის საჯარო, ნოტარიუსი არის დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი;
- სანოტარო დოკუმენტების მიმართ არსებობს კანონიერებისა და ნამდვილობის პრეზუმფცია, რომელიც მხოლოდ სასამართლოს მიერ შეიძლება იქნეს უარყოფილი;
- სანოტარო დოკუმენტებს აქვს მტკიცებულების ძალა და ისინი, სასამართლოს გადაწყვეტილებების მსგავსად, აღსრულებადია;[3]
- ნოტარიუსთა საქმიანობის მოქმედების სფერო/იურისდიქცია და ნოტარიუსთა დასაშვები რაოდენობა განსაზღვრულია ეროვნული კანონმდებლობით;
- ნოტარიუსის საქმიანობა ემსახურება პრევენციულ სამართლებრივ დაცვას, მხარეებს შორის შემდგომი დავების თავიდან აცილებას.[4]

---

[1] L. Dannenberg-Mletzko et al., *Notariatskunde* (Wiesbaden 2005), 13.
[2] ევროპის ნოტარიუსთა 25-ე კონფერენცია.
[3] იქვე.
[4] იქვე.

ლათინური ნოტარიატის სახელმწიფოებში, როგორც წესი, იუსტიციის სამინისტრო ასრულებს ზედამხედველობის ფუნქციას.

ნოტარიუსთა არჩევის წესი და კრიტერიუმები, ასევე, ნოტარიუსთა გაერთიანების პრეზიდენტის არჩევისა თუ დანიშვნის წესი სახელმწიფოთა უმრავლესობაში მსგავია, გარკვეული თავისებურებების გათვალისწინებით, რაც კვლევაში დეტალურადაა განხილული. რაც შეეხება თავდაპირველად რომელიმე რეგიონში მუშაობის ვალდებულებას, კვლევაში განხილულ სახელმწიფოთაგან მსგავსი ვალდებულება მხოლოდ თურქეთში გვხვდება. სახელმწიფოთა უმეტესობაში ნოტარიუსთა საქმიანობის განხორციელების ტერიტორიულ იურისდიქციას განსაზღვრავს იუსტიციის მინისტრი და, როგორც წესი, იურისდიქცია ემთხვევა რეგიონში მოქმედი სასამართლოს იურისდიქციას. მაგალითად, **პოლონეთში, საფრანგეთსა** და **რუმინეთში** სანოტარო ბიუროს ტერიტორიული იურისდიქცია ემთხვევა ამავე ტერიტორიაზე მოქმედი სააპელაციო სასამართლოს იურისდიქციას,[5] ხოლო **ავსტრიაში**, **ჩეხეთში, ესპანეთსა და იტალიაში** სანოტარო ბიუროს იურისდიქცია დამოკიდებულია პირველი ინსტანციის სასამართლოს იურისდიქციაზე.[6]

II. სახელმწიფოთა პრაქტიკა

თურქეთი

- *ნოტარიუსთა გაერთიანება, პროფესიული ნიშნით გაერთიანების წესი*

თურქეთში ნოტარიუსთა გაერთიანებას თურქეთის ნოტარიუსთა კავშირი წარმოადგენს, რომლის წევრობა ქვეყნის ყველა სახელმწიფო ნოტარიუსისთვის სავალდებულოა. [7] **თურქეთის ნოტარიუსთა კავშირის რეგიონული ორგანოები - ნოტარიუსთა პალატები,** ყველა იმ მუნიციპალიტეტში იქმნება, სადაც სამი ან მეტი სახელმწიფო სანოტარო ბიურო მდებარეობს.[8] ყველა ნოტარიუსი ვალდებულია, მის

[5] ამ დროისთვის რუმინეთში არსებობს 15 სააპელაციო სასამართლო. სასამართლოები მდებარეობს ყველა ოლქში და ბუქარესტში, მაშინ, როცა პირველი ინსტანციის სასამართლოები (ამ დროისთვის სულ 188) მდებარეობს ოლქებში და ბუქარესტის რაიონებში. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ [რუმინეთის სასამართლო სისტემა](#).

[6] Bogdan CIUCA, Few Perspectives on the Comparative Law Concerning Notarial Activity, 2009 *Acta U. Danubius Jur.*, 162.

[7] მუხლი 165, [თურქეთის კანონი სახელმწიფო ნოტარიუსთა შესახებ (1972)](#).

[8] იქვე, მუხლი 179.

რეგიონში არსებულ ერთ-ერთ ნოტარიუსთა პალატაში აღირიცხებოდეს წევრად.[9] 2013 წლის მონაცემებით, თურქეთში 1768 სახელმწიფო ნოტარიუსია, რომლებიც 18 რეგიონულ ნოტარიუსთა პალატაში არიან გაერთიანებულნი.[10]

სანოტარო ბიუროს იურისდიქცია სასამართლოებზეა მიბმული: სანოტარო ბიურო იმ ადგილას ფუძნდება, სადაც პირველი ინსტანციის სასამართლო მდებარეობს.[11]

სახელმწიფო სანოტარო ბიუროები ოთხ კლასად იყოფა, ხოლო მათ კლასიფიცირებას იუსტიციის სამინისტრო ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ ახდენს თურქეთის ნოტარიუსთა კავშირის მოსაზრებების გათვალისწინებით.[12] კლასიფიცირება დამოკიდებულია სანოტარო ბიუროს იურისდიქციის ფარგლებში მოსახლეობის რაოდენობაზე, ბიუროს შემოსავლის ოდენობაზე და იმ ტერიტორიაზე არსებულ ბიზნესის განვითარების მაჩვენებელზე (ბიზნესის სუბიექტების ოდენობაზე ბინზესის ტრანზაქციების რიცხვზე).[13]

- *ნოტარიუსთა დანიშვნის წესი და კრიტერიუმები*

ნოტარიუსად მუშაობის დაწყების მსურველმა სანოტარო ბიუროში თავდაპირველად ერთწლიანი სავალდებულო სტაჟირება უნდა გაიაროს.[14] სტაჟირების კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

- უნდა იყოს 21-დან 40 წლამდე თურქეთის ქმედუნარიანი მოქალაქე;
- დამთავრებული უნდა ჰქონდეს სამართლის სკოლა თურქეთში ან საზღვარგარეთ;
- მის მიმართ არ უნდა იყოს გამოტანილი გამამტყუნებელი სასამართლო განაჩენი;
- დისციპლინური გადაწყვეტილების შედეგად არ უნდა ჰქონდეს ჩამორთმეული მოსამართლედ, პროკურორად ან ადვოკატად მუშაობის უფლება;
- არ უნდა ეწეოდეს ნოტარიუსის თანამდებობასთან შეუთავსებელ საქმიანობას;
- გაკოტრებულად გამოცხადების შემთხვევაში, სტაჟირების დაწყების პერიოდისთვის აღდგენილი უნდა ჰქონდეს უფლებები;

---

[9] იქვე, მუხლი 180.
[10] ევროპის ნოტარიუსთა გაერთიანება, სიახლეები, იხილეთ ვებგვერდი.
[11] თურქეთის კანონი სახელმწიფო ნოტარიუსთა შესახებ (1972), მუხლი 2.
[12] იქვე, მუხლი 4.
[13] იქვე.
[14] იქვე, მუხლები 5 და 15.

- ფიზიკურად და გონებრივად არ უნდა იყოს მისთვის შეუძლებელი ნოტარიუსის ფუნქციების განხორციელება;
- უნდა ჰქოდეს მუდმივი საცხოვრებელი სტაჟირების გავლის ადგილას.[15]

სტაჟირების განმავლობაში სანოტარო ბიურო, რომელშიც პირი სტაჟირებას გადის, ვალდებულია, სამ თვეში ერთხელ იუსტიციის სამინისტროს წარუდგინოს მოხსენება სტაჟიორის ზნეობრივი და პროფესიული უნარ-ჩვევების შესახებ.[16] სტაჟირების დასრულების შემდეგ იუსტიციის სამინისტრო იღებს გადაწყვეტილებას სტაჟირების შეწყვეტის, სტაჟიორის მესამე კლასის სანოტარო ბიუროში ნოტარიუსად დანიშვნის ან 6 თვით სტაჟირების გახანგრძლივების შესახებ.[17]

ნებისმიერი სახის სამსახური შეუთავსებელია ნოტარიუსის თანამდებობასთან, გარდა იმ ვალდებულებებისა, რომლებიც სასამართლო ხელისუფლების მიერაა ნოტარიუსზე დაკისრებული, სამეცნიერო და საქველმოქმედო ფონდებში თავმჯდომარეობიდან ან წევრობიდან გამომდინარეობს, ან ეხება ანდერძიდან გამომდინარე ქონების მართვას.[18] სახელმწიფო ნოტარიუსთა შესახებ კანონის თანახმად, ნოტარიუსს ეკრძალება საფონდო ბირჟაზე ვაჭრობა, თავდებად დადგომა, გაწეული მომსახურებისთვის დადგენილი საფასურის შემცირება და სამსახურებრივ ურთიერთობებში წარმომადგენლების გამოყენება.[19]

ნოტარიუსები თურქეთში სამ კლასად იყოფიან.[20] ახალდანიშნული ნოტარიუსები მესამე კლასს განეკუთვნებიან. სულ მცირე, ოთხი წლის შემდეგ[21] ნოტარიუსის დაწინაურება და გადაყვანა მომდევნო კლასში დამოკიდებულია იუსტიციის სამინისტროს ინსპექტორის მიერ მისი მუშაობის შეფასებაზე.[22]

მიუხედავად იმისა, რომ კანონი ცალსახად არ მიუთითებს რეგიონში მუშაობის მოთხოვნაზე, ერთ-ერთი წყაროს ანალიზი გვაძლევს საფუძველს, დავასკვნათ, რომ პრაქტიკაში მესამე კლასის ნოტარიუსი (მუშაობის დაწყებიდან პირველი ოთხი წელი) თურქეთის დიდი ქალაქებიდან მოშორებულ რეგიონებში მუშაობს.[23] ოთხი

---

[15] იქვე, მუხლი 7.
[16] იქვე, მუხლი 16.
[17] იქვე, მუხლი 17.
[18] იქვე, მუხლი 50.
[19] იქვე.
[20] იქვე, მუხლი 4(ა).
[21] იქვე.
[22] იქვე.
[23] ინტერვიუ თურქეთის ნოტარიუსთა კავშირის პრეზიდენტთან: საინფორმაციო-ანალიტიკური პორტალი „რუს ორიენტ“.

წლის შემდეგ, თუ მეორე კლასის ნოტარიუსი გახდება, მას უფლება ეძლევა, რომ ცენტრთან უფრო ახლოს მდებარე რეგიონებში გადავიდეს, ხოლო კიდევ ოთხი წლის შემდეგ, პირველი კლასის ნოტარიუსებს მუშაობის საშუალება ისეთ ქალაქებში ეძლევათ, როგორიცაა სტამბული და ანკარა.[24]

- *თავმჯდომარის არჩევის წესი და კრიტერიუმები*

თურქეთის ნოტარიუსთა კავშირს რთული სტრუქტურული დაყოფა ახასიათებს. მისი ორგანოებია: ნოტარიუსთა კავშირის პრეზიდენტი, ნოტარიუსთა კავშირის პრეზიდენტთა კონფერენცია, ნოტარიუსთა კავშირის მმართველობა, ნოტარიუსთა კავშირის დისციპლინური კომიტეტი, ნოტარიუსთა კავშირის კონგრესი და ნოტარიუსთა რეგიონული პალატები.[25]

თურქეთის ნოტარიუსთა კავშირის პრეზიდენტს ნოტარიუსთა კავშირის მმართველობა ირჩევს ფარული კენჭისყრით ნოტარიუსთა კავშირის მმართველობის არჩევნების შემდეგ პირველივე საერთო კრებაზე (კრება ტარდება ოთხ წელიწადში ერთხელ). ნოტარიუსთა კავშირის პრეზიდენტი, ამავე დროს, თურქეთის ნოტარიუსთა კავშირის მმართველობის და პრეზიდენტთა კონფერენციის ხელმძღვანელიცაა. [26] ნოტარიუსთა კავშირის მმართველობა ირჩევს, ასევე, ვიცეპრეზიდენტს, გენერალურ მდივანს და ბუღალტერს.[27]

ნოტარიუსთა კავშირის მმართველობა შვიდი მუდმივი და ოთხი სათადარიგო წევრისგან შედგება და ნოტარიუსთა კავშირის კონგრესის მიერ ოთხი წლის ვადით აირჩევა. [28] ერთსა და იმავე დროს ნოტარიუსი შეიძლება იყოს მხოლოდ ერთი ორგანოს – თურქეთის ნოტარიუსთა კავშირის მმართველობის, დისციპლინური კომიტეტის ან ნოტარიუსთა პალატის მმართველობის წევრი.[29]

თურქეთის ნოტარიუსთა კავშირის მმართველობის წევრებს ნოტარიუსთა კავშირის კონგრესი ირჩევს, სულ მცირე, 5-წლიანი სამუშაო გამოცდილების მქონე ნოტარიუსებიდან ფარული კენჭისყრის საფუძველზე.[30] კანდიდატების მიერ ხმების თანაბარი რაოდენობის მიღების შემთხვევაში, უპირატესობა უფრო ხანგრძლივი

---

[24] იქვე.
[25] [თურქეთის კანონი სახელმწიფო ნოტარიუსთა შესახებ (1972)](), მუხლი 167.
[26] იქვე, მუხლი 170.
[27]იქვე.
[28] იქვე.
[29]იქვე.
[30] იქვე, მუხლი 171.

პროფესიული გამოცდილების მქონე ნოტარიუსს ენიჭება.[31] წევრი, რომლის უფლებამოსილების ვადაც გასულია, მმართველობაში შეიძლება კიდევ ერთხელ აირჩეს.[32] იმ შემთხვევაში, თუ თურქეთის ნოტარიუსთა კავშირის მმართველობის წევრი მმართველობას ახალი არჩევნების ჩატარებამდე დატოვებს, მის ადგილს ის სათადარიგო წევრი იკავებს, რომელმაც ყველაზე მეტი ხმა დააგროვა.[33] მმართველობა თვეში ერთხელ იკრიბება.[34]

თურქეთის ნოტარიუსთა კავშირის **პრეზიდენტთა კონფერენცია** შედგება კავშირის პრეზიდენტისგან, ვიცეპრეზიდენტისგან, გენერალური მდივნისა და ბუღალტრისგან. პრეზიდენტთა კონფერენცია მოქმედებს თურქეთის ნოტარიუსთა კავშირის მმართველობისგან მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე. კონფერენციის უფლებამოსილების ხანგრძლივობა შემოიფარგლება ნოტარიუსთა კავშირის მმართველობის საერთო კრებებს შორის არსებული პერიოდით.[35]

ნოტარიუსთა კავშირის უმაღლეს მმართველობით ორგანოს **ნოტარიუსთა კავშირის კონგრესი** წარმოადგენს, რომელიც შედგება ორი ნოტარიუსისა და ნოტარიუსთა პალატების პრეზიდენტებისაგან, რომლებიც ნოტარიუსთა პალატების საერთო კრებაზე აირჩევიან.[36]

ნოტარიუსთა კავშირის მმართველობის წევრები და კავშირის პრეზიდენტი კონგრესის მოქმედ წევრებად ითვლებიან, თუმცა, არჩევნებში მონაწილეობის უფლება არ გააჩნიათ.[37]

ნოტარიუსთა პალატები ნოტარიუსთა პალატის პრეზიდენტის, ნოტარიუსთა პალატის მმართველობისა და საერთო კრებისგან შედგება.[38] ამავე დროს, ნოტარიუსთა პალატის მმართველობის წევრები არიან პრეზიდენტი და იმ ნოტარიუსთა პალატის ორი წევრი, რომლებიც ხმათა უმრავლესობით ნოტარიუსთა

[31] იქვე.
[32] იქვე.
[33] იქვე.
[34] იქვე, მუხლი 173.
[35] იქვე, მუხლი 169.
[36] იქვე, მუხლი 176.
[37] იქვე.
[38] იქვე, მუხლი 182.

პალატის საერთო კრების მიერ აირჩევიან ორი წლის ვადით.[39] ნოტარიუსთა პალატის საერთო კრება შედგება ამ ნოტარიუსთა პალატაში გაწევრებული ნოტარიუსებისგან.[40]

ესტონეთი

- *ნოტარიუსთა გაერთიანება, პროფესიული ნიშნით გაერთიანების წესი*

ესტონეთში ნოტარიუსები ერთიანდებიან ნოტარიუსთა პალატაში, რომელიც არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი და, ამავე დროს, დამოუკიდებელია სანოტარო ფუნქციების შესრულების პროცესში. ნოტარიუსთა პალატის უფლებამოსილება განისაზღვრება ესტონეთის ნოტარიატის შესახებ აქტისა და ნოტარიუსთა პალატის წევრთა საერთო კრების მიერ მიღებული დებულებით, რომელიც მტკიცდება იუსტიციის მინისტრის მიერ. ყველა ნოტარიუსი ვალდებულია, იყოს ნოტარიუსთა პალატის წევრი. [41] იუსტიციის მინისტრი ზედამხედველობას უწევს ნოტარიუსთა საქმიანობას სამინისტროს კონკრეტული მოხელეებისათვის ამ უფლებამოსილების მინიჭების გზით. იუსტიციის მინისტრმა შესაძლოა, ზოგიერთ საკითხზე ზედამხედველობის უფლებამოსილების დელეგირება მოახდინოს ნოტარიუსთა პალატისთვის. ამ შემთხვევაში, მინისტრი გასცემს ინსტრუქციებს და უფლება აქვს, შეცვალოს ნოტარიატის პალატის მიერ მიღებული რეზოლუციები.[42]

- *ნოტარიუსთა დანიშვნის წესი და კრიტერიუმები*

ესტონეთში ნოტარიუსი შეიძლება იყოს:

- ევროკავშირის მოქალაქე, რომელმაც დაასრულა სტაჟირების კურსი [43] და ჩააბარა სანოტარო გამოცდა;
- კარგად ფლობს სახელმწიფო ენას;
- აქვს მიღებული უმაღლესი იურიდიული განათლება;
- არის მაღალი ზნეობრივი თვისებების მქონე პირი.[44]

---

[39] იქვე, მუხლი 184.
[40] იქვე, მუხლი 186.
[41] მუხლი 43, ესტონეთის აქტი ნოტარიატის შესახებ (მიღებულია 2000 წლის 6 დეკემბერს, ძალაში შევიდა 2002 წლის 1 თებერვალს).
[42] იქვე, მუხლი 5.
[43] სტაჟირების კურსი ნოტარიუსთა პალატის მიერ დადგენილი 2-წლიანი პროგრამაა. იუსტიციის მინისტრმა ნოტარიუსთა პალატის მოსაზრების საფუძველზე შესაძლოა, შეცვალოს პროგრამის ხანგრძლივობა. ნოტარიუსობის კანდიდატთა რაოდენობას განსაზღვრავს იუსტიციის მინისტრი. იხილეთ იქვე, მუხლი 25.

სანოტარო ბიუროს დასაკომპლექტებლად ცხადდება კონკურსი, რომლის პირობები განისაზღვრება ნოტარიუსთა პალატის წინადადებების საფუძველზე იუსტიციის მინისტრის მიერ.[45] ნოტარიუსად ვერ დაინიშნება პირი, რომელიც:

- არის წარსულში ნასამართლევი განზრახი დანაშაულისათვის ან რომლის წინააღმდეგაც აღძრულია სისხლის სამართლის საქმე;
- გათავისუფლებულ იქნა მოსამართლის ან ნოტარიუსის თანამდებობიდან;
- გარიცხულ იქნა ესტონეთის ადვოკატთა ასოციაციიდან;
- გათავისუფლებულ იქნა საჯარო სამსახურიდან დისციპლინური გადაცდომის გამო;
- ცნობილია ვალაუვალად.[46]

ესტონეთის კანონმდებლობის თანახმად, ნოტარიუსები ინიშნებიან უვადოდ.[47] მათი დანიშვნის საკითხს, რაოდენობასა და ტერიტორიულ იურისდიქციას განსაზღვრავს იუსტიციის მინისტრი შესაბამის ტერიტორიულ ერთეულში სანოტარო აქტების შესრულების რაოდენობაზე დაყრდნობით.[48] კანონში ამომწურავადაა ჩამოთვლილი კრიტერიუმები, რომელთა დაკმაყოფილებაც პირებს მოეთხოვებათ ნოტარიუსად დანიშვნისათვის. ამ კრიტერიუმებს შორის არ გვხვდება **მითითება თავდაპირველად რეგიონში მუშაობის ვალდებულებაზე.**

- *თავმჯდომარის არჩევის წესი და კრიტერიუმები*

ესტონეთის კანონმდებლობის მიხედვით, ნოტარიუსთა პალატის გამგეობის თავმჯდომარე აირჩევა ნოტარიუსთა პალატის მიერ ფარული ხმის მიცემის საფუძველზე ხმის მიცემაში მონაწილეთა აბსოლუტური უმრავლესობით.[49] აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გამგეობა, რომელიც შედგება თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილისა და გამგეობის სხვა წევრებისგან, აირჩევა სამი წლის ვადით.[50]

---

[44] იქვე, მუხლი 6 (1).
[45] იქვე, მუხლი 7.
[46] იქვე, მუხლი 6 (2 და 3).
[47] იუსტიციის მინისტრმა ნოტარიუსის თხოვნით შესაძლოა, გაუგრძელოს მას სანოტარო საქმიანობის უფლებამოსილება საპენსიო ასაკის მიღწევის შემდგომ, თუ ეს აუცილებელია სანოტარო აქტების შესრულებისთვის, მაგრამ არაუმეტეს 10 წლის ვადით. იქვე, მუხლი 8.
[48] იქვე.
[49] იქვე, მუხლი 48^1.
[50] იქვე, მუხლი 49.

რუმინეთი

- *ნოტარიუსთა გაერთიანება, პროფესიული ნიშნით გაერთიანების წესი*

ნოტარიუსები ერთიანდებიან რუმინეთის ნოტარიუსთა ეროვნულ გაერთიანებაში. ყველა ნოტარიუსი ვალდებულია, იყოს ნოტარიუსთა ეროვნული გაერთიანების წევრი.[51] **ასევე, არსებობს გაერთიანება რეგიონულ დონეზე: სულ 15 ნოტარიუსთა პალატა,** რომელთა იურისდიქცია ემთხვევა სააპელაციო სასამართლოს ტერიტორიულ იურისდიქციას.[52] თითოეულ პალატას რეგიონში შეიძლება ჰქონდეს ერთი ან მეტი დაქვემდებარებული ბიურო.[53] **რუმინეთის** ნოტარიუსთა ეროვნული გაერთიანება (ისევე, როგორც ნოტარიუსთა პალატები რეგიონებში) **კერძო სამართლის იურიდიული პირია**, რომელსაც აქვს საკუთარი სამსახურებრივი ბეჭედი და ლოგო.[54]

- *ნოტარიუსთა დანიშვნის წესი და კრიტერიუმები*

ნოტარიუსი თანამდებობაზე ინიშნება და თავისუფლდება იუსტიციის მინისტრის მიერ ნოტარიუსთა ეროვნული გაერთიანების გამგეობის წარდგინების საფუძველზე. [55] ნოტარიუსი საკუთარი საქმიანობით ემსახურება საჯარო ინტერესების დაცვას. ნოტარიუსად დანიშვნისთვის რუმინეთის კანონმდებლობა აწესებს შემდეგ მოთხოვნებს:

- პირი უნდა იყოს რუმინეთის მოქალაქე;
- ჰქონდეს საცხოვრებელი ადგილი რუმინეთში და უფლებამოსილება, განახორციელოს სამოქალაქო უფლებები;
- ჰქონდეს იურიდიული განათლება;
- არ უნდა იყოს ნასამართლევი;
- ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით შეეძლოს ნოტარიუსის საქმიანობის განხორციელება;
- გავლილი უნდა ჰქონდეს 2-წლიანი გამოსაცდელი ვადა და ჩაბარებული – ნოტარიუსთა გამოცდა ან ჰქონდეს მოსამართლედ, პროკურორად, ადვოკატად

[51] რუმინეთის ნოტარიუსთა სისტემის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე.
[52] იხილეთ ევროპის საბჭოს ზოგადი მიმოხილვა რუმინეთის სასამართლო სისტემის შესახებ, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე.
[53] მუხლი 29, რუმინეთის ნოტარიუსთა ეროვნული გაერთიანების დებულება.
[54] იქვე, მუხლები 3, 10 და 29. რუმინეთის ნოტარიუსთა ეროვნული გაერთიანება შეიქმნა რუმინეთის ნოტარიუსთა და ნოტარიული საქმიანობის შესახებ №36/1995 კანონის 27-ე მუხლის საფუძველზე. იხილეთ ვებგვერდი.
[55] იხილეთ ვებგვერდი.

ან სამართლის სფეროში მუშაობის,სულ მცირე, 5-წლიანი გამოცდილება, თუ ფლობს ნოტარიუსად მუშაობისთვის საჭირო ცოდნას).[56]

რუმინეთის კანონმდებლობა არ უთითებს თავდაპირველად რეგიონში მუშაობის ვალდებულებაზე.

- *თავმჯდომარის არჩევის წესი და კრიტერიუმები*

რუმინეთის ნოტარიუსთა ეროვნულ გაერთიანებას შემდეგი მმართველი ორგანოები აქვს – ნოტარიუსთა კონგრესი, გამგეობა, აღმასრულებელი ბიურო და თავმჯდომარე. [57] გამგეობა შედგება თავმჯდომარის, ორი მოადგილისა და ნოტარიუსთა თითოეული პალატის თითო წარმომადგენლისგან. გამგეობის საქმიანობის ვადა არის ოთხი წელი.[58]

გამგეობის თავმჯდომარე და მისი მოადგილეები აირჩევიან გამგეობის წევრთა რიგებიდან ფარული ხმის მიცემის საფუძველზე. ხმის მიცემის პროცედურის ორგანიზება ხდება გენერალურ ასამბლეაში[59] თითოეული პალატის დონეზე, ხოლო საარჩევნო პროცედურა განისაზღვრება ნოტარიუსთა ეროვნული გაერთიანების გამგეობის მიერ.[60]

რაც შეეხება ნოტარიუსთა პალატებს, თითოეულის მმართველ ორგანოებს შეადგენენ: ნოტარიუსთა გენერალური ასამბლეა, დირექტორატი და დირექტორატის თავმჯდომარე.[61]

დირექტორატი აერთიანებს დირექტორატის თავმჯდომარეს, მის მოადგილეს და 3-5 სხვა წევრს, რომლებიც აირჩევიან 3 წლის ვადით.[62]

თავმჯდომარის, მოადგილისა და გაერთიანებაში პალატის წარმომადგენლის არჩევნები ტარდება გენერალური ასამბლეის მიერ პირდაპირი და ფარული ხმის მიცემის საფუძველზე. აღნიშნულ თანამდებობაზე აირჩევა პირი, რომელსაც აქვს ნოტარიუსად მუშაობის, სულ მცირე, 5-წლიანი გამოცდილება. თავმჯდომარე არ

---

[56] იხილეთ ვებგვერდი.
[57] რუმინეთის ნოტარიუსთა ეროვნული გაერთიანების დებულება, მუხლი 15.
[58] იქვე, მუხლი 18 (1).
[59] ნოტარიუსთა პალატის ერთ-ერთი მმართველი ორგანო.
[60] რუმინეთის ნოტარიუსთა ეროვნული გაერთიანების დებულება, მუხლი 19.
[61] იქვე, მუხლი 30.
[62] რუმინეთის ნოტარიუსთა პალატა, იხილეთ ვებგვერდი.

შეიძლება იმავე დროს იყოს გაერთიანებაში ნოტარიუსთა პალატის წარმომადგენელი.[63]

პოლონეთი

- *ნოტარიუსთა გაერთიანება, პროფესიული ნიშნით გაერთიანების წესი*

პოლონეთის კანონმდებლობის მიხედვით, ნოტარიუსი უთანაბრდება საჯარო მოხელეს.[64] პოლონეთში **არსებობს ნოტარიუსთა გაერთიანება - დამოუკიდებელი თვითმმართველი სანოტარო ორგანო და სანოტარო ბიუროები.** ნოტარიუსთა გაერთიანების წევრობა აუცილებელია თითოეული პირისთვის, რომელსაც სურს, იყოს პრაქტიკოსი ნოტარიუსი. ის აერთიანებს **ნოტარიუსთა პალატებს** და ნოტარიუსთა ეროვნულ საბჭოს.[65] ნოტარიუსთა პალატები და ნოტარიუსთა ეროვნული საბჭო წარმოადგენენ იურიდიულ პირებს.[66] ნოტარიუსთა პალატის იურისდიქცია ემთხვევა სააპელაციო სასამართლოს იურისდიქციას.[67]

- *ნოტარიუსთა დანიშვნის წესი და კრიტერიუმები*

ნოტარიუსის დანიშვნა და გათავისუფლება ხდება იუსტიციის მინისტრის მიერ ნოტარიუსთა პალატის რეკომენდაციის გათვალისწინებით. ნოტარიუსი შეიძლება იყოს ნებისმიერი პირი, რომელიც:

- არის, სულ მცირე, 26 წლის ასაკის, პოლონეთის მოქალაქე;
- აქვს სამოქალაქო უფლებების სრულყოფილად განხორციელების შესაძლებლობა;
- მიღებული აქვს მაგისტრის ხარისხი სამართალმცოდნეობაში პოლონეთში ან პოლონეთის მიერ აღიარებულ სასწავლებელში საზღვარგარეთ;
- გაიარა ნოტარიუსთა პრაქტიკა/ტრენინგი,
- ჩაბარებული აქვს ნოტარიუსთა გამოცდა;
- აქვს ნოტარიუსის თანაშემწედ მუშაობის, სულ მცირე, 3-წლიანი გამოცდილება;
- აქვს მაღალი ზნეობრივი თვისებები.

---

[63] რუმინეთის ნოტარიუსთა ეროვნული გაერთიანების დებულება, მუხლი 34.
[64] მუხლი 2, პოლონეთი სანოტარო სამსახურის შესახებ აქტი №14/1991.
[65] ევროპის სასამართლო ქსელი სამოქალაქო და სავაჭრო საკითხებში, პოლონეთი, იხილეთ ვებგვერდი.
[66] პოლონეთი სანოტარო სამსახურის შესახებ, აქტი №14/1991, მუხლი 26.
[67] იქვე, მუხლი 28.

ნოტარიუსად, ასევე, შეიძლება დაინიშნოს პროფესორი, სამართლის ლექტორი, მოსამართლე, პროკურორი, ადვოკატი და იურიდიული მრჩეველი, რომელთაც აქვთ 3-წლიანი პროფესიული გამოცდილება.[68]

- *თავმჯდომარის არჩევის წესი და კრიტერიუმები*

ნოტარიუსთა პალატა შედგება წევრთა საერთო კრებისა და ნოტარიუსთა ეროვნული საბჭოსაგან.[69] ნოტარიუსთა პალატის პრეზიდენტი აირჩევა წევრთა საერთო კრებაზე 3 წლის ვადით ღია კენჭისყრის საფუძველზე.[70]

ნოტარიუსთა ეროვნული საბჭო შედგება წევრთა საერთო კრებაზე არჩეული ნოტარიუსებისგან. ნოტარიუსთა ეროვნული საბჭოს პრეზიდენტი არის ნოტარიუსი, რომელიც საბჭოს წევრთა რიგებიდან აირჩევა 3 წლის ვადით ფარული ხმის მიცემის საუძველზე. [71]

გერმანია

- *ნოტარიუსთა გაერთიანება, პროფესიული ნიშნით გაერთიანების წესი*

გერმანიაში ფუნქციონირებს ნოტარიატის სამი განსხვავებული ფორმა: ნოტარიუსი, რომლის ძირითადი და ერთადერთი საქმიანობაც ნოტარიუსობაა, ე.წ. ადვოკატ-ნოტარიუსი და ნოტარიუსი, როგორც საჯარო მოხელე.[72]

ნოტარიატის აღნიშნული ფორმებიდან, კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, საინტერესოა პირველი ფორმა, ვინაიდან სწორედ იგი წარმოადგენს ლათინური ნოტარიატის სისტემის გამოვლინებას.

გერმანიაში მოქმედებს ნოტარიუსთა ე.წ. ცენტრალური ორგანო. კერძოდ, რეგიონულ დონეზე მოქმედი **ნოტარიუსთა პალატები ერთიანდებიან ფედერალურ ნოტარიუსთა პალატაში, რომელიც საჯარო სამართლის იურიდიული პირია. მასზე ზედამხედველობას ახორციელებს იუსტიციის სამინისტრო.**

თითოეულ რეგიონში მომუშავე ნოტარიუსები ქმნიან ნოტარიუსთა პალატას. [73] აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, **რომ პალატები იქმნება რეგიონული ნიშნით.**

---

[68] იხილეთ სქოლიო 65.
[69] პოლონეთი სანოტარო სამსახურის შესახებ აქტი №14/1991, მუხლი 27.
[70] იქვე, მუხლები 30-32.
[71] იქვე, მუხლი 39.
[72] ნოტარიატი და მისი ორგანიზაცია, *ფედერალური ნოტარიუსთა პალატა*, 10.
[73] მუხლი 65, გერმანიის ნოტარიატის რეგულირების შესახებ დებულება.

ნოტარიუსთა პალატა წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, რომლის საქმიანობაზე ზედამხედველობას ახორციელებს იუსტიციის რეგიონული ორგანო. ნოტარიუსთა პალატა მას ყოველწლიურად წარუდგენს საქმიანობის შესახებ ანგარიშს.[74] ფედერალურ ნოტარიუსთა პალატაზე ზედამხედველობას ახორციელებს იუსტიციის მინისტრი.[75]

- *ნოტარიუსთა დანიშვნის წესი და კრიტერიუმები*

გერმანიაში ნოტარიუსთა შერჩევასა და დანიშვნასთან დაკავშირებული საკითხები წესრიგდება ნოტარიატის რეგულირების შესახებ დებულებით. ნოტარიუსი ინიშნება უვადოდ.[76] შესაბამისი გამოცდების ჩაბარების შემდგომ ნოტარიუსობის მსურველმა უნდა გაიაროს 3-წლიანი მოსამზადებელი პერიოდი. ამ პერიოდის განმავლობაში იგი ჩვეულებრივ ახორციელებს ნოტარიუსის უფლებამოსილებებს, თუმცა, მას აქვს ნოტარიუსობის კანდიდატის სტატუსი.[77] მხოლოდ ამ პერიოდის გასვლის შემდგომ ხდება ნოტარიუსის დანიშვნა. ნოტარიუსს დანიშვნისას განესაზღვრება კონკრეტული საქმიანობის ადგილი. ქალაქებში, რომლებშიც მოსახლეობის რაოდენობა 100 000-ს აღემატება, ნოტარიუსს შეიძლება განესაზღვროს ქალაქის კონკრეტული ნაწილი (ტერიტორია). საქმიანობის ადგილის განსაზღვრა ხდება საჭიროების მიხედვით ნოტარიუსთა შესაბამისი პალატის მოსაზრების გათვალისწინებით. [78] მართალია, საქმიანობის ადგილს ირჩევს არა თავად ნოტარიუსი, არამედ მას განესაზღვრება კონკრეტული ადგილი, თუმცა, საბოლოოდ გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა მისი თანხმობაც. [79] განსხვავებულ მოწესრიგებას არ შეიცავს ნოტარიატთან დაკავშირებული სხვა ნორმატიული აქტები. შესაბამისად, შეიძლება დავასკვნათ, რომ ვალდებულება **რეგიონში საქმიანობასთან დაკავშირებით არც გერმანიის კანონმდებლობით არის დადგენილი და გამწესება ნოტარიუსის თანხმობაზეა დამოკიდებული.**

---

[74] იქვე, მუხლი 66.
[75] იქვე, მუხლი 77(2).
[76] იქვე, მუხლი 3 (1).
[77] იხილეთ სქოლიო 72, 11.
[78] გერმანიის ნოტარიატის რეგულირების შესახებ დებულება, მუხლი 10 (1).
[79] იქვე.

- *თავმჯდომარის არჩევის წესი და კრიტერიუმები*

გერმანიის ფედერალური პალატის ორგანოებია: პრეზიდიუმი და წარმომადგენლობითი კრება.[80] პრეზიდიუმი შედგება პრეზიდენტის, მისი ორი მოადგილის და ოთხი წევრისაგან. პრეზიდიუმის ოთხი წევრი უნდა იყოს ე.წ. მხოლოდ ნოტარიუსი, ხოლო სამი წევრი – ადვოკატ-ნოტარიუსი. პრეზიდიუმი აირჩევა წარმომადგენლობითი კრების მიერ ოთხი წლის ვადით[81] – ჯერ აირჩევა პრეზიდენტი, შემდგომ – მისი მოადგილეები და ბოლოს – პრეზიდიუმის სხვა წევრები. არჩეულად ჩაითვლება პირი, რომელიც მიიღებს ხმების ნახევარზე მეტს.[82] კანონმდებლობა არ ითვალისწინებს რაიმე განსაკუთრებულ მოთხოვნებს პრეზიდენტობის კანდიდატისთვის, მაგრამ ადგენს მოთხოვნებს პრეზიდიუმის წევრისთვის. დებულების თანახმად, პრეზიდიუმის წევრად შეიძლება აირჩეს ნოტარიუსთა გაერთიანების ნებისმიერი წევრი.[83] პრეზიდიუმის წევრად არ შეიძლება აირჩეს პირი, რომელსაც შეუსრულდა 65 წელი, უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში უკვე იყო პრეზიდუმის წევრი ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არ შეუძლია შესაბამისი ფუნქციების შესრულება.[84]

რაც შეეხება **გერმანიის ნოტარიუსთა პალატის** (რეგიონული) ორგანოებს, ესენია: ასამბლეა და ნოტარიუსთა პალატის კრება.[85] ასამბლეა შედგება პრეზიდენტის, მისი მოადგილისა და ასამბლეის სხვა წევრებისგან. ასამბლეის თითოეულ წევრს ოთხი წლის ვადით ირჩევს ნოტარიუსთა პალატის კრება. მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ ნოტარიუსთა თითოეულ პალატას აქვს თავისი დებულება, რომელიც განსაზღვრავს პრეზიდენტის არჩევის წესს. გერმანიის ერთ-ერთი მიწის (ვესტფალენის) ნოტარიუსთა პალატის დებულების თანახმად, მაგალითად, ასამბლეა აერთიანებს 11 წევრს, რომელიც თავისი რიგებიდან ირჩევს პრეზიდენტს და მის მოადგილეებს.[86] იმ რეგიონებში, სადაც, ასევე, საქმიანობენ ე.წ. ადვოკატ-ნოტარიუსები, მოქმედებს დათქმა, რომ პრეზიდენტი და წევრების ნახევარი მაინც უნდა იყვნენ ნოტარიუსები, რომლებიც მხოლოდ ნოტარიუსის საქმიანობას ახორციელებენ.[87]

---

[80] წარმომადგენლობითი კრება აერთიანებს ნოტარიუსთა პალატების (მიწების მიხედვით) პრეზიდენტებს ან სხვა წარმომადგენლებს. იხილეთ იქვე, მუხლი 84.
[81] იქვე, მუხლები 76, 77, 79, 80 და 81.
[82] მუხლი 3, გერმანიის ფედერალური ნოტარიუსთა პალატის დებულება.
[83] იქვე, მუხლი 81(1).
[84] იქვე, მუხლი 4.
[85] იქვე, მუხლი 68.
[86] იქვე, მუხლი 15.
[87] იქვე, მუხლი 69.

ლიტვა

- *ნოტარიუსთა გაერთიანება, პროფესიული ნიშნით გაერთიანების წესი*

ნოტარიუსები ერთიანდებიან ნოტარიუსთა პალატაში, რომელიც საჯარო სამართლის იურიდიული პირია, აქვს სათავო ოფისი ვილნიუსში, საკუთარი სამსახურებრივი ბეჭედი, ემბლემა, დროშა და სხვა სიმბოლიკა.[88]

ყველა ნოტარიუსი არის ნოტარიუსთა პალატის წევრი.[89] მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ ნოტარიუსთა პალატა ვალდებულია, ყოველი წლის პირველ აპრილს წარუდგინოს საკუთარი საქმიანობის შესახებ წლიური ანგარიში იუსტიციის სამინისტროს.[90] ნოტარიუსების და ნოტარიუსთა პალატის საქმიანობას მათ მიერ გაწეული მომსახურების ხარისხის ჭრილში ზედამხედველობას უწევენ იუსტიციის მინისტრის მიერ დანიშნული უფლებამოსილი პირები.[91]

- *ნოტარიუსთა დანიშვნის წესი და კრიტერიუმები*

ლიტვის კანონმდებლობის თანახმად, ნოტარიუსი არის პირი, რომელსაც კანონით დადგენილი უფლებამოსილება მინიჭებული აქვს სახელმწიფოს მიერ. იგი თანამდებობაზე ინიშნება და თავისუფლდება ლიტვის იუსტიციის მინისტრის მიერ.[92]

ნოტარიუსი ფინანსურად დამოუკიდებელია – მას ენიჭება უფლებამოსილება, თავად აიყვანოს დასაქმებულები, განსაზღვროს მათი ხელფასი და შეიძინოს ბიუროსთვის საჭირო ნებისმიერი ნივთი.[93]

ნოტარიუსად პირი ინიშნება საჯარო კონკურსის საფუძველზე, რომლის წესებსა და პროცედურას განსაზღვრავს იუსტიციის მინისტრი. ნოტარიუსად შეიძლება დაინიშნოს პირი, თუ:[94]

- არის ეროვნებით ლიტველი, 65 წლამდე ასაკის პირი;
- აქვს სამართალმცოდნეობაში მიღებული მაგისტრის ხარისხი;
- იყო ნოტარიუსობის კანდიდატი,[95] სულ მცირე, 1 წლის განმავლობაში;

---

[88] მუხლი 2, ლიტვის ნოტარიუსთა პალატის დებულება.
[89] მუხლი 8, ლიტვის კანონი ნოტარიატის შესახებ.
[90] იქვე, მუხლი 11.
[91] იქვე, მუხლი 7.
[92] იქვე, მუხლი 2.
[93] იქვე, მუხლი 21.
[94] კონკურსში გამარჯვებიდან ერთი წლის განმავლობაში, იქვე, მუხლი 6[1].

- ჩაბარებული აქვს ნოტარიუსთა გამოცდა ან არ აქვს ჩაბარებული გამოცდა, მაგრამ აქვს დოქტორის ხარისხი სოციალურ მეცნიერებებში ან სამართალში; აქვს მკვლევრად, პედაგოგად ან სამართლის სფეროში[96] მუშაობის 5-წლიანი გამოცდილება და გავლილი აქვს ნოტარიუსის, სულ მცირე, 3-თვიანი სტაჟირება;
- აქვს მაღალი ზნეობრივი თვისებები;
- არ აქვს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები, რაც ხელს შეუშლის მას ნოტარიუსად მუშაობაში.[97]

ნოტარიუსად ვერ დაინიშნება პირი, თუ:

- მსახურობდა საბჭოთა კავშირის წევრი სახელმწიფოს უშიშროების კომიტეტში;
- მსჯავრდებულ იქნა მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენაში, მიუხედავად იმისა, მოიხადა თუ არა სასჯელი; ან თუ მსჯავრდებულ იქნა ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩადენაში და არ მოუხდია დანიშნული სასჯელი;
- საჯარო სამსახურის ან საჯარო ინტერესის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისათვის სასამართლოს მიერ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის შედეგად გათავისუფლებულ იქნა მოსამართლის, პროკურორის, ნოტარიუსის, ადვოკატის თანამდებობიდან ან საჯარო სამსახურიდან და სამსახურიდან გათავისუფლების მომენტიდან არ გასულა ხუთი წელი;
- დამოკიდებულია ფსიქოტროპულ ნივთიერებებზე, ნარკოტიკებზე ან ალკოჰოლზე;
- ვერ აკმაყოფილებს ნოტარიუსთა ქცევისა და ეთიკის კოდექსის მიერ დადგენილ მოთხოვნებს.[98]

ნოტარიუსთა და სანოტარო ბიუროების რაოდენობას, ასევე, იურისდიქციას, განსაზღვრავს იუსტიციის სამინისტრო მოსახლეობის რაოდენობაზე დაყრდნობით.[99] განსხვავებულ მოწესრიგებას არ შეიცავს ნოტარიატთან დაკავშირებული სხვა ნორმატიული აქტები. შესაბამისად, შეიძლება დავასკვნათ, რომ **რეგიონში საქმიანობის ვალდებულება ლიტვის კანონმდებლობით არ არის დადგენილი.**

---

[95] ნოტარიუსობის კანდიდატი არის პირი, რომელიც ემზადება, გახდეს პრაქტიკოსი ნოტარიუსი. დამატებითი ინფორმაცია იხილეთ იქვე, მუხლები: 52-62.
[96] ლიტვის კანონმდებლობით განსაზღვრული თანამდებობები.
[97] ჯანმრთელობის შემოწმება სავალდებულოა მუშაობის დაწყებიდან ყოველ 5 წელიწადში ერთხელ.
[98] ლიტვის კანონი ნოტარიატის შესახებ, მუხლი 3.
[99] იქვე, მუხლი 6.

- *თავმჯდომარის არჩევის წესი და კრიტერიუმები*

ნოტარიუსთა პალატის ორგანოებია: წევრთა საერთო კრება, პრეზიდიუმი, პრეზიდენტი, ვიცეპრეზიდენტი, სადისციპლინო ორგანო, აუდიტის კომიტეტი, რომელთაგან მმართველ ორგანოებს წარმოადგენენ პრეზიდიუმი და პრეზიდენტი.[100]

ნოტარიუსთა პალატის წევრმა, რომელსაც სურს, გახდეს ნოტარიუსთა პალატის პრეზიდენტი, ნოტარიუსთა პალატის საერთო კრებაზე უნდა წამოაყენოს თავისი კანდიდატურა. ამასთან, ის ვალდებულია, საერთო კრებაზე წარადგინოს მომავალი სამი წლის სამოქმედო გეგმა/პროგრამა. პრეზიდენტობის კანდიდატთა რიცხვი შეზღუდული არ არის. პრეზიდენტი აირჩევა ნოტარიუსთა პალატის წევრთა საერთო კრებაზე ფარული კენჭისყრის საფუძველზე სამი წლის ვადით დამსწრეთა აბსოლუტური უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, ინიშნება ახალი არჩევნები.[101]

ჩეხეთი

- *ნოტარიუსთა გაერთიანება, პროფესიული ნიშნით გაერთიანების წესი*

სახელმწიფოთა უმრავლესობის მსგავსად, ჩეხეთშიც ნოტარიატის საქმიანობას ზედამხედველობას უწევს იუსტიციის სამინისტრო.[102]

ნოტარიუსთა პალატა (ცენტრალური ორგანო) არის იურიდიული პირი, რომელიც აერთიანებს რეგიონულ დონეზე მოქმედ ნოტარიუსთა პალატებს (თავის მხრივ, წარმოადგენს იურიდიულ პირს). ცენტრალური ნოტარიუსთა პალატის ბიუჯეტი დამოკიდებულია რეგიონული პალატების შემოწირულობებზე, საჩუქრებსა და სხვა შემოსავლებზე.[103] ცენტრალური პალატა შედგება შემდეგი ორგანოებისგან: ასამბლეა, პრეზიდიუმი, პალატის პრეზიდენტი, აუდიტის კომიტეტი და დისციპლინური კომიტეტი.[104]

რეგიონული სასამართლოების და პრაღის მუნიციპალური სასამართლოს ტერიტორიული იურისდიქციის მიხედვით, რეგიონულ დონეზე მოქმედი ნოტარიუსთა პალატები აერთიანებს შესაბამის ტერიტორიაზე არსებულ სანოტარო

---

[100] ლიტვის ნოტარიუსთა პალატის დებულება, მუხლი 12.
[101] იქვე, მუხლი 26.
[102] მუხლი 45, ჩეხეთის რესპუბლიკის აქტი ნოტარიუსთა და მათი საქმიანობის შესახებ (მიღებულ იქნა 1992 წლის 7 მაისს, ძალაში შევიდა 1993 წლის 1 იანვარს).
[103] იქვე, მუხლი 35.
[104] იქვე, მუხლი 36.

ბიუროებს. ყველა ნოტარიუსი თანამდებობაზე დანიშვნის დღიდან ვალდებულია, გახდეს ნოტარიუსთა პალატის წევრი და გადაიხადოს ნოტარიუსთა საბჭოს მიერ დანიშნული საწევრო გადასახადი.[105] რეგიონში ნოტარიუსთა საჭირო რაოდენობას პალატის წარდგინებით განსაზღვრავს იუსტიციის მინისტრი.[106]

ნოტარიუსთა პალატა წარმოადგენს იურიდიულ პირს, რომლის ბიუჯეტი დამოკიდებულია ნოტარიუსთა საწევროებზე, შემოწირულობებსა და სხვა შემოსავალზე.[107] ნოტარიუსთა პალატა შედგება შემდეგი ორგანოებისგან: ასამბლეა, პრეზიდიუმი, ნოტარიუსთა პალატის პრეზიდენტი, აუდიტის კომიტეტი.[108]

- *ნოტარიუსთა დანიშვნის წესი და კრიტერიუმები*

ნოტარიუსთა და მათი საქმიანობის შესახებ ჩეხეთის აქტის პირველი მუხლის თანახმად, „ნოტარიუსი არის ფიზიკური პირი, რომელიც სანოტარო და სხვა მასთან დაკავშირებულ მოქმედებას ახორციელებს სახელმწიფოს მიერ მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე“.

ნოტარიუსად ინიშნება პირი, თუ:

- არის ჩეხეთის რესპუბლიკის ქმედუნარიანი მოქალაქე;
- აქვს მაგისტრის ხარისხი იურისპრუდენციაში ჩეხეთის უნივერსიტეტში ან საზღვარგარეთ, ჩეხეთის მიერ აღიარებულ უნივერსიტეტში;[109]
- არ არის ნასამართლევი;
- აქვს ნოტარიუსად მუშაობის 5-წლიანი გამოცდილება;[110]
- ჩაბარებული აქვს ნოტარიუსთა გამოცდა.[111]

ნოტარიუსად პირი ინიშნება ნოტარიუსთა პალატის წარდგინებით იუსტიციის მინიტრის მიერ.[112] **კანონმდებლობით არ არის განსაზღვრული თავდაპირველად რომელიმე რეგიონში მუშაობის ვალდებულება.**

---

[105] იქვე, მუხლი 29.
[106] იქვე, მუხლი 8.
[107] იქვე.
[108] იქვე, მუხლი 35.
[109] ასევე, თუ მისი განათლება შესაბამისად იქნა მიჩნეული ჩეხეთის განათლების მარეგულირებელი სპეციალური კანონმდებლობის საფუძველზე. იქვე, მუხლი 7.
[110] იგულისხმება ნოტარიატში მუშაობის გამოცდილება ნოტარიუსად ან ნოტარიუსობის კანდიდატად დამატებითი ინფორმაციისთვის; იქვე, მუხლი 7 (2).
[111] იქვე, მუხლი 7.
[112] იქვე, მუხლი 8.

- *თავმჯდომარის არჩევის წესი და კრიტერიუმები*

ჩეხეთში ნოტარიუსთა პალატისა და პალატის ყველა ორგანოსათვის არჩევნების საერთო წესი მოქმედებს. კერძოდ, ნოტარიუსთა პალატისა და პალატის ორგანოების არჩევა ხდება ფარული ხმის მიცემის საფუძველზე და აირჩევიან სამი წლის ვადით. პალატის პრეზიდენტი აირჩევა ასამბლეის მიერ. [113]

შვეიცარია

- *ნოტარიუსთა გაერთიანება, პროფესიული ნიშნით გაერთიანების წესი*

ნოტარიატის სისტემა შვეიცარიაში ნოტარიუსთა მოწყობის ორ განსხვავებულ ფორმას აერთიანებს: 1) კანტონების ნაწილი ლათინური ნოტარიატის გავლენის ქვეშაა და ნოტარიუსი აქ განიხილება როგორც დამოუკიდებელი ორგანო. ამგვარ კანტონებს მიეკუთვნება: ბაზელი, გენფი, ფრაიბურგი და ა.შ.; 2) ნაწილში კი ნოტარიუსი ითვლება სჯარო მოხელედ, მაგ.: ციურიხი. გვხვდება კანტონებიც, სადაც შერეული სისტემა მოქმედებს.[114]

ნოტარიუსთა (კანტონების) გაერთიანების უმაღლესი ორგანოა შვეიცარიის ნოტარიუსთა (ფედერალური) გაერთიანება. იგი წარმოადგენს იმ ნოტარიუსების გაერთიანებას, რომლებიც საქმიანობენ როგორც თავისუფალი პროფესიის მქონე ნოტარიუსები. გაერთიანების წევრი შეიძლება იყოს ნოტარიუსი როგორც პერსონალურად, ისე კოლექტიური ფორმით. პერსონალური წევრობისას თავისუფალი პროფესიის მქონე ნოტარიუსები ერთიანდებიან როგორც კანტონის გაერთიანებაში (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ისე ფედერალურ ნოტარიუსთა გაერთიანებაში. კანტონის ნოტარიუსთა გაერთიანება, თავის მხრივ, შვეიცარიის ფედერალურ გაერთიანებაში დელეგატების მეშვეობით წარმოდგენილია კოლექტიური ფორმით.[115]

თითოეულ კანტონს აქვს საკუთარი კანონმდებლობა, რომლითაც განსაზღვრულია ნოტარიუსის საქმიანობის განხორციელებისთვის აუცილებელი წინაპირობები და პროცედურები. კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, წინამდებარე დოკუმენტში განხილულია იმ კანტონების საკანონმდებლო რეგულირება, რომლებიც ლათინური ნოტარიატის სისტემას მიეკუთვნება.

---

[113] იქვე, მუხლი 37.

[114] ნოტარიატი შვეიცარიაში, იხილეთ ვებგვერდი.

[115] მუხლი 4, შვეიცარიის ნოტარიუსთა გაერთიანების დებულება.

- *ნოტარიუსთა დანიშვნის წესი და კრიტერიუმები*

ბაზელი

ბაზელის კანონმდებლობით, პირს ნოტარიუსად საქმიანობის უფლება ენიჭება ბაზელის კანტონის მთავრობის მიერ [116] შესაბამისი კანტონის ტერიტორიის ფარგლებში. მოთხოვნები, რომელთაც უნდა აკმაყოფილებდეს პირი, რათა მას მიეცეს ბაზელის ტერიტორიაზე საქმიანობის უფლება, დადგენილია კანტონ ბაზელის ნოტარიუსთა შესახებ დებულებით. კერძოდ:

- პირი უნდა იყოს შვეიცარიის მოქალაქე;[117]
- პირს უნდა ჰქონდეს შესაბამისი განათლება;
- არ უნდა ჰქონდეს დაკისრებული პასუხისმგებლობის ზომა ნოტარიუსის პროფესიასთან შეუთავსებელი ქმედების გამო;
- უნდა ჰქონდეს ბიურო ბაზელის ტერიტორიაზე;[118]
- უნდა ჰქონდეს პრაქტიკული საქმიანობის გამოცდილება, რომლის მინიმალური ვადა შეადგენს 6 თვეს, და აქედან, სულ მცირე, 3 თვის განმავლობაში საქმიანობა განხორციელებული უნდა ჰქონდეს ბაზელის ტერიტორიაზე.[119]

ფრაიბურგი

ფრაიბურგის კანონმდებლობის თანახმად, ნოტარიუსის საქმიანობის უფლება პირს ენიჭება კანტონის მთავრობის მიერ უვადოდ.[120] კანტონის მასშტაბით ნოტარიუსების რაოდენობა განსაზღვრულია კანონით და იგი არ უნდა აღემატებოდეს 42-ს; ახალი ნოტარიუსის დანიშვნა ხდება იმ შემთხვევაში, თუ კონკრეტული ადგილი ვაკანტურია, და, შესაბამისად, ამ კონკრეტულ ადგილზე ხდება ნოტარიუსის დანიშვნა.[121]

ნოტარიუსის უფლებამოსილების მისანიჭებლად აუცილებელი მოთხოვნები დადგენილია ნოტარიატის შესახებ ფრაიბურგის კანტონის კანონით. კერძოდ:

- პირი უნდა იყოს შვეიცარიის ქმედუნარიანი მოქალაქე;

---

[116] მუხლი 2, ნოტარიატის შესახებ ბაზელის კანონი.
[117] იქვე, მუხლი 3(ა).
[118] იქვე, მუხლი 3
[119] იქვე, მუხლი 13.
[120] მუხლი 3, ფრაიბურგის კანონი ნოტარიატის შესახებ.
[121] იქვე, მუხლი 2.

- საცხოვრებელი ადგილი უნდა ჰქონდეს ფრაიბურგის ტერიტორიაზე;
- არ უნდა იყოს პასუხისგებაში მიცემული იმგვარი ქმედების გამო, რაც ეწინააღმდეგება პროფესიულ ღირსებას;
- უნდა ჰქონდეს შესაბამისი განათლება და ფრაიბურგის ტერიტორიაზე ნოტარიუსის საქმიანობის განხორციელების უფლებამოსილების დამადასტურებელი მოწმობა.[122]

- *თავმჯდომარის არჩევის წესი და კრიტერიუმები*

შვეიცარიის ნოტარიუსთა გაერთიანების ორგანოებია: გენერალური კრება, საბჭო, პრეზიდენტთა კონფერენცია და აუდიტი.[123]

გენერალური კრება აერთიანებს ყველა როგორც პერსონალურ, ისე კოლექტიური ფორმით წარმოდგენილ წევრს. საბჭო, როგორც აღმასრულებელი ორგანო, შედგება: პრეზიდენტის (თავმჯდომარე), ვიცეპრეზიდენტის და სხვა წევრებისგან. პრეზიდენტთა კონფერენცია, რომელსაც აქვს მრჩეველი ორგანოს სტატუსი, შედგება 13 წევრისაგან.[124]

გენერალური კრება ირჩევს პრეზიდენტს და საბჭოს სხვა წევრებს.[125] საბჭო შედგება 5-დან 9-მდე წევრისაგან. საბჭოს წევრების უფლებამოსილების ვადა შეადგენს სამ წელს (მაქსიმალური ვადა – ექვს წელს), ხოლო პრეზიდენტის შემთხვევაში, მაქსიმალური ვადა 12 წელია.[126]

ჰოლანდია

- *ნოტარიუსთა გაერთიანება, პროფესიული ნიშნით გაერთიანების წესი*

ჰოლანდიაში ნოტარიუსები ერთიანდებიან ნოტარიუსთა პროფესიულ გაერთიანებაში, რომელიც წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს. ყველა ნოტარიუსი და უმცროსი ნოტარიუსი ავტომატურად ხდება ამ გაერთიანების წევრი. [127] სანოტარო ბიუროებზე ზედამხედველობას ახორციელებს ფინანსური

[122] იქვე, მუხლი 4.
[123] შვეიცარიის ნოტარიუსთა გაერთიანება, იხილეთ ვებგვერდი.
[124] შვეიცარიის ნოტარიუსთა გაერთიანება, იხილეთ ვებგვერდი.
[125] შვეიცარიის ნოტარიუსთა გაერთიანების დებულება მუხლი 9.
[126] იქვე, მუხლი 13.
[127] მუხლი 60, ჰოლანდიის აქტი ნოტარიატის შესახებ; იხილეთ, ასევე, ჰოლანდიის სამეფოს ნოტარიუსთა ორგანიზაცია, KNB, იხილეთ ვებგვერდი.

ზედამხედველობის სამსახური. ჰოლანდიის ნოტარიუსთა გაერთიანება შედეგება პალატებისგან.[128]

ყველა ნოტარიუსი თუ ნოტარიუსობის კანდიდატი, ამავე დროს, მიეკუთვნება რომელიმე პალატას, რომლის იურისდიქციაც ემთხვევა სასამართლოს იურისდიქციას ამავე რეგიონში.[129]

- *ნოტარიუსთა დანიშვნის წესი და კრიტერიუმები*

ჰოლანდიის კანონმდებლობის თანახმად, ნოტარიუსი ინიშნება უვადოდ (სავალდებულო საპენსიო ასაკის (65 წელი) გათვალისწინებით). ნოტარიუსად შეიძლება დაინიშნოს:

- პირი, რომელსაც ნოტარიულ სამართალში მიღებული აქვს ხარისხი;
- აქვს უმცროს ნოტარიუსად მუშაობის, სულ მცირე, 6-წლიანი გამოცდილება;
- ჩაბარებული აქვს ჰოლანდიის ნატარიუსთა გაერთიანების მიერ ორგანიზებული პროფესიული გამოცდა;
- დაასრულა ნოტარიუსთა პროფესიული ტრენინგკურსი;
- აქვს სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელების სამოქმედო გეგმა, რომლის მიხედვითაც დასტურდება, რომ ნოტარიუსი ფლობს პრაქტიკოსად მუშაობისთვის შესაბამის ფინანსურ რესურსს და არსებობს გონივრული საფუძველი იმისა, რომ მისი საქმიანობა 3 წელიწადში ფინანსური თვალსაზრისით იქნება მიზანშეწონილი.[130]

- *თავმჯდომარის არჩევის წესი და კრიტერიუმები*

ჰოლანდიის ნატარიუსთა გაერთიანებას ჰყავს გამგეობა, საბჭო, წევრთა საერთო კრება და პალატები თითოეულ რეგიონში.[131]

ჰოლანდიის ნოტარიუსთა გაერთიანებას წარმოადგენს გამგეობა, რომელიც შედგება, სულ მცირე, ხუთი ნოტარიუსისგან ან ნოტარიუსობის კანდიდატისგან, რომლებიც ინიშნებიან 3 წლის ვადით. მათი განმეორებით არჩევა შეიძლება მხოლოდ ერთხელ,

---

[128] იქვე, მუხლი 64.
[129] ჰოლანდიის სამეფოს ნოტარიუსთა ორგანიზაცია, KNB, იხილეთ ვებგვერდი.
[130] იქვე; იხილეთ ასევე *K.M.M. de Wit and A.A. Tomlow,* National Report: The Netherlands, *Notarius International 1-2/2002,* 8.
[131] ჰოლანდიის სამეფოს ნოტარიუსთა ორგანიზაცია, KNB, იხილეთ ვებგვერდი.

ხოლო ნოტარიუსთა გაერთიანების თავმჯდომარე აირჩევა ორი წლის ვადით გამგეობის წევრებისგან საბჭოს წევრების მიერ.[132]

ავსტრია

- *ნოტარიუსთა გაერთიანება, პროფესიული ნიშნით გაერთიანების წესი*

ავსტრიაში ნოტარიუსები ერთიანდებიან რეგიონულ გაერთიანებებში - ნოტარიუსთა კოლეგიაში, რაც შეეხება ცენტრალურ ორგანოს - ცენტრალურ ნოტარიუსთა პალატას, რეგიონული კოლეგიები აქ წარმოდგენილი არიან დელეგატების მეშვეობით.

ცენტრალური ნოტარიუსთა პალატა წარმოადგენს ნოტარიუსთა გაერთიანების უმაღლეს ორგანოს, რომელშიც ერთიანდებიან ცალკეული კოლეგიების საბჭოს წარმომადგენლები – კოლეგიის პრეზიდენტი და საბჭოს სხვა წევრები, რომელთაც თავად საბჭო ირჩევს. პალატის საქმიანობაზე ზედამხედველობას ახორციელებს იუსტიციის სამინისტრო.[133]

რაც შეეხება ნოტარიუსთა კოლეგიებს, კონკრეტული რეგიონის ნოტარიუსები და შესაბამისი ბიუროს ნოტარიუსობის კანდიდატები ქმნიან ნოტარიუსთა კოლეგიას. ყოველი კოლეგია შედგება ორი ჯგუფისგან: ნოტარიუსების და ნოტარიუსობის კანდიდატებისაგან. თუ კანდიდატების რაოდენობა არ აღემატება ხუთს, შესაბამისი ჯგუფი არ შედგება და ისინი ვერ იქნებიან კოლეგიის წევრები.[134] **ნოტარიუსთა კოლეგია წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, რომლის საქმიანობაზე ზედამხედველობას ახორციელებს იუსტიციის სამინისტრო.[135]**

- *ნოტარიუსთა დანიშვნის წესი და კრიტერიუმები*

მოთხოვნები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს პირი ნოტარიუსის საქმიანობის განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების მიზნით, განსაზღვრულია ავსტრიის ნოტარიუსთა დებულებით, რომლის თანახმადაც:

- პირი უნდა იყოს ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს ან შვეიცარიის კონფედერაციის მოქალაქე;
- მიღებული უნდა ჰქონდეს იურიდიული განათლება ავსტრიულ სამართალში;

---

[132] მუხლი 65, 71, ჰოლანდიის აქტი ნოტარიატის შესახებ.
[133] მუხლი 141ბ, ავსტრიის ნოტარიუსთა დებულება.
[134] იქვე, მუხლი 124 (2).
[135] იქვე, მუხლი 124 (3)

- ჩაბარებული უნდა ჰქონდეს ნოტარიუსთა გამოცდა წარმატებით;
- უნდა ჰქონდეს ნოტარიუსად მუშაობის 7-წლიანი გამოცდილება;
- არ უნდა იყოს 64 წლის ასაკს მიღწეული.[136]

რეგიონში საქმიანობის ვალდებულება კანონმდებლობით არ არის დადგენილი.

- *თავმჯდომარის არჩევის წესი და კრიტერიუმები*

ცენტრალური ნოტარიუსთა პალატის პრეზიდენტს ამ პალატაში გაერთიანებული ცალკეული კოლეგიების საბჭოს წარმომადგენლები ირჩევენ თავიანთი რიგებიდან.[137] პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს ნებისმიერი წარმომადგენელი. განსაკუთრებული მოთხოვნები პრეზიდენტის კანდიდატის მიმართ არ არის დადგენილი. ცენტრალურ პალატაში იქმნება კომიტეტი, რომელშიც ერთიანდებიან პრეზიდენტი, მისი სამი მოადგილე, კოლეგიის პრეზიდენტები და კოლეგიების საბჭოს ოთხი წევრი.[138]

ნოტარიუსთა თითოეული კოლეგია თავისი წევრებისგან ირჩევს საბჭოს. საბჭო შედგება პრეზიდენტის, ექვსი ნოტარიუსისა და ნოტარიუსობის სამი კანდიდატისგან. [139] ნოტარიუსთა კოლეგიის პრეზიდენტი აირჩევა ფარული კენჭისყრით სამი წლის ვადით ნოტარიუსთა ყველა კოლეგიის მიერ. განსაკუთრებულ მოთხოვნებს პრეზიდენტობის კანდიდატის მიმართ კანონმდებლობა არ აწესებს, გარდა იმისა, რომ იგი უნდა იყოს არჩეული ნოტარიუსების (და არა ნოტარიუსობის კანდიდატების) ჯგუფიდან.[140]

III. დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ განხილულ სახელმწიფოებში **ნოტარიუსად დანიშვნის** ძირითადი მოთხოვნები მსგავსია:

იმ სახელმწიფოს მოქალაქეობის ქონა, სადაც პირს სურს, ახორციელებდეს სანოტარო საქმიანობას (ზოგიერთი სახელმწიფოს შემთხვევაში, დასაშვებია, ასევე, შენგენის ან ევროკავშირის წევრი ქვეყნის მოქალაქეობაც);

---

[136] იქვე, მუხლი 6.
[137] იქვე, მუხლი 141ა.
[138] იქვე.
[139] იქვე, მუხლი 128.
[140] რაც შეეხება საბჭოს სხვა წევრებს, 6 ნოტარიუსი აირჩევა კოლეგიის იმ ჯგუფის მიერ, რომელშიც გაერთიანებული არიან ნოტარიუსები, ხოლო საბჭოს წევრი ნოტარიუსობის 3 კანდიდატი შესაბამისად აირჩევა კანდიდატთა ჯგუფის მიერ. ორივე შემთხვევაში არჩეულად ჩაითვლებიან კანდიდატები, რომლებიც მიიღებენ ხმათა ნახევარზე მეტს. იქვე, მუხლი 129.

- პირის ასაკი – ზოგი სახელმწიფო ადგენს როგორც მინიმალურ, ისე მაქსიმალურ ასაკს ნოტარიუსისთვის (მინიმალური – 21, მაქსიმალური – 65);
- საცხოვრებელი ადგილის იმ სახელმწიფოში ქონა, რომელშიც უნდა, განახორციელოს სანოტარო საქმიანობა;
- სახელმწიფო ენის ცოდნა;
- სამოქალაქო უფლებების სრულყოფილად განხორციელების შესაძლებლობა;
- უმაღლესი იურიდიული განათლების ქონა; ცალკეულ სახელმწიფოებში კი, სავალდებულოა მაგისტრის ან/და დოქტორის ხარისხიც (ლიტვაში, მაგალითად, დოქტორის ხარისხის ქონის შემთხვევაში, პირი თავისუფლდება ნოტარიუსთა საკვალიფიკაციო გამოცდების ჩაბარებისგან);
- სამუშაო გამოცდილების ქონა – სახელმწიფოთა ნაწილში ნოტარიუსად, სხვაგან კი, ნოტარიუსის თანაშემწედ. გამოცდილების სტაჟის მოთხოვნა მერყეობს სახელმწიფოების მიხედვით 2-დან 7 წლამდე ვადით;
- ნოტარიუსთა საკვალიფიკაციო გამოცდების ჩაბარება და ნოტარიუსის საქმიანობის განხოციელების უფლებამოსილების დამადასტურებელი მოწმობის ქონა (სახელმწიფოთა ნაწილში ნოტარიუსად, ასევე, შეიძლება დაინიშნოს პროფესორი, სამართლის ლექტორი, მოსამართლე, პროკურორი, ადვოკატი და იურიდიული მრჩეველი, რომელთაც აქვთ რამდენიმეწლიანი პროფესიული გამოცდილება);
- მაღალი ზნეობრივი თვისებების ქონა.

ეს არის ის ძირითადი მოთხოვნები, რომლებსაც იზიარებს განხილულ სახელმწიფოთა უმრავლესობა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ცალკეული სახელმწიფოები დამატებით ისეთ მოთხოვნებსაც აწესებენ, როგორიცაა:

- პირი არ უნდა იყოს წარსულში ნასამართლევი; არ უნდა ჰქონდეს დაკისრებული პასუხისმგებლობის ზომა ნოტარიუსის პროფესიასთან შეუთავსებელი ქმედების გამო;
- დისციპლინური წარმოების შედეგად არ უნდა ჰქონდეს ჩამორთმეული მოსამართლედ, პროკურორად ან ადვოკატად მუშაობის უფლება;
- არ უნდა იყოს გათავისუფლებული მოსამართლის ან ნოტარიუსის თანამდებობიდან (დამატებით, ლიტვის კანონმდებლობის თანახმად, ადვოკატის თანამდებობიდან ან საჯარო სამსახურიდან და სამსახურიდან გათავისუფლების მომენტიდან უნდა იყოს გასული ხუთი წელი);
- არ უნდა ეწეოდეს ნოტარიუსის თანამდებობასთან შეუთავსებელ საქმიანობას;

- არ უნდა იქნეს შემჩნეული ნოტარიუსის პროფესიასთან შეუთავსებელ ქცევაში ან დამოკიდებულებაში;
- უნდა აკმაყოფილებდეს ნოტარიუსთა ქცევისა და ეთიკის კოდექსის მიერ დადგენილ მოთხოვნებს;
- არ უნდა იყოს დამოკიდებული ფსიქოტროპულ ნივთიერებებზე, ნარკოტიკებზე ან ალკოჰოლზე.

დანართი 1. ნოტარიუსთა სახეები, მათი პროფესიული ნიშნით გაერთიანების წესი				
	ქვეყნები	ნოტარიუსის სტატუსი	თავდაპირველად რეგიონში საქმიანობის ვალდებულება ✓ - რეგიონში საქმიანობა სავალდებულოა X - რეგიონში საქმინობა არ არის სავალდებულო) იურისდიქცია	გაერთიანების ფორმა
1	თურქეთი	საჯარო, ზედამხედველობს იუსტიციის სამინისტრო	✓ მუშაობის დაწყებიდან პირველი ოთხი წელი უნდა მსახურობდეს რეგიონში, ოთხი წლის შემდეგ, თუ იგი მეორე კლასის ნოტარიუსი გახდება, უფლება ეძლევა, ცენტრთან უფრო ახლოს მდებარე რეგიონებში გადავიდეს, ხოლო კიდევ ოთხი წლის შემდეგ – პირველი კლასის ნოტარიუსებს მუშაობის საშუალება ისეთ ქალაქებში ეძლევათ, როგორიცაა სტამბული და ანკარა.	ნოტარიუსთა კავშირი და რეგიონული ნოტარიუსთა პალატები

2	ესტონეთი	კერძო მოხელე, ზედამხედველობს იუსტიციის სამინისტრო	X	ნოტარიუსთა პალატა (სსიპ)
			ტერიტორიულ იურისდიქციას განსაზღვრავს იუსტიციის მინისტრი შესაბამის ტერიტორიულ ერთეულში სანოტარო აქტების შესრულების რაოდენობაზე დაყრდნობით.	
3	რუმინეთი	კერძო მოხელე, ზედამხედველობს იუსტიციის სამინისტრო	X	ნოტარიუსთა ეროვნული გაერთიანება (კერძო სამართლის იურიდიული პირი) და ნოტარიუსთა პალატები (კერძო სამართლის იურიდიული პირი)
			საქმიანობს ნოტარიუსთა პალატებში იურისდიქციის ფარგლებში, რომელთა იურისდიქციაც ემთხვევა კონკრეტულ ტერიტორიულ ერთეულზე არსებულ სააპელაციო სასამართლოს იურისდიქციას.	
4	პოლონეთი	გათანაბრებული საჯარო მოხელესთან, ზედამხედველობს იუსტიციის სამინისტრო	X	თვითმმართველი სანოტარო ორგანო და ნოტარიუსთა პალატები
			საქმიანობს ნოტარიუსთა პალატებში იურისდიქციის ფარგლებში, რომელთა იურისდიქციაც ემთხვევა კონკრეტულ ტერიტორიულ	

			ერთეულზე არსებულ სააპელაციო სასამართლოს იურისდიქციას.	
5	გერმანია	საჯარო/შერეული, ზედამხედველობს იუსტიციის სამინისტრო	X ნოტარიუსს დანიშვნისას განესაზღვრება კონკრეტული საქმიანობის ადგილი. ქალაქებში, რომლებშიც მოსახლეობის რაოდენობა 100 000-ს აღემატება, ნოტარიუსს შეიძლება განესაზღვროს ქალაქის კონკრეტული ნაწილი (ტერიტორია).	ფედერალური ნოტარიუსთა პალატა (სსიპ) და ნოტარიუსთა პალატები რეგიონებში (სსიპ)
6	ლიტვა	კერძო მოხელე, ზედამხედველობს იუსტიციის სამინისტრო	X ნოტარიუსთა და სანოტარო ბიუროების რაოდენობას და იურისდიქციას განსაზღვრავს იუსტიციის სამინისტრო მოსახლეობის რაოდენობაზე დაყრდნობით.	ნოტარიუსთა პალატა (სსიპ)
7	ჩეხეთი	კერძო მოხელე, ზედამხედველობს იუსტიციის სამინისტრო	X	ნოტარიუსთა პალატა (ცენტრალური ორგანო) და

			ნოტარიუსთა პალატის იურისდიქცია ემთხვევა სასამართლოს იურისდიქციას.	რეგიონული და პრაღის ნოტარიუსთა პალატები (კერძო სამართლის იურიდიული პირი)
8	შვეიცარია	შერეული ფორმები (თავისუფალი პროფესიის წარმომადგენლები და საჯარო მოხელეები)	X ბაზელსა და ფრაიბურგში საქმიანობის უფლებას გასცემს მთავრობა მხოლოდ ამ კანტონების ტერიტორიის ფარგლებში.	ნოტარიუსთა ფედერალური გაერთიანება და ნოტარიუსთა გაერთიანებები კანტონის დონეზე
9	ჰოლანდია	კერძო მოხელე, კონტროლირებული სახელმწიფო უწყების მიერ	X ყველა ნოტარიუსი თუ ნოტარიუსობის კანდიდატი მიეკუთვნება რომელიმე პალატას, რომლის იურისდიქციაც ემთხვევა ამავე რეგიონში არსებულ სასამართლოს იურისდიქციას.	ნოტარიუსთა ორგანიზაცია (საჯარო სამართლის პროფესიული გაერთიანება)
10	ავსტრია	კერძო მოხელე, ზედამხედველობს	X	ცენტრალური ნოტარიუსთა

		იუსტიციის სამინისტრო		პალატა (სსიპ) და ნოტარიუსთა კოლეგიები (სსიპ) რეგიონების დონეზე
			საქმიანობს ცენტრალური ნოტარიუსთა პალატის და ნოტარიუსთა კოლეგიების რეგიონების ფარგლებში.	

დანართი 2. ნოტარიუსთა პალატის თავმჯდომარის არჩევის წესი და კრიტერიუმები

	ქვეყნები	თავმჯდომარის არჩევის წესი	თავმჯდომარის არჩევის კრიტერიუმები
1	თურქეთი	თურქეთის ნოტარიუსთა კავშირის პრეზიდენტს ნოტარიუსთა კავშირის მმართველობა ირჩევს. პრეზიდენტის არჩევა ხდება ფარული კენჭისყრით, ნოტარიუსთა კავშირის მმართველობის არჩევნების შემდეგ პირველსავე საერთო კრებაზე (კრება ტარდება ოთხ წელიწადში ერთხელ).	თურქეთის ნოტარიუსთა კავშირის მმართველობას კავშირის კონგრესი იმ ნოტარიუსთაგან ირჩევს, რომლებსაც, სულ მცირე, 5-წლიანი სამუშაო გამოცდილება მაინც აქვთ.
		ნოტარიუსთა პალატის პრეზიდენტი აირჩევა ხმათა უმრავლესობით ნოტარიუსთა პალატის საერთო კრების მიერ ორი წლის ვადით.	
2	ესტონეთი	ნოტარიუსთა პალატის გამგეობის თავმჯდომარე აირჩევა ნოტარიუსთა პალატის მიერ 3 წლის ვადით ფარული ხმის მიცემის საფუძველზე ხმის მიცემაში მონაწილეთა აბსოლუტური უმრავლესობით.	დამატებითი კრიტერიუმები დადგენილი არ არის.

3	რუმინეთი	ნოტარიუსთა ეროვნული გაერთიანების გამგეობის თავმჯდომარე და მისი მოადგილეები აირჩევიან 4 წლის ვადით გამგეობის წევრთა რიგებიდან ფარული ხმის მიცემის საფუძველზე. ხმის მიცემის პროცედურის ორგანიზება ხდება გენერალურ ასამბლეაში თითოეული პალატის დონეზე.	დამატებითი კრიტერიუმები დადგენილი არ არის.
		ნოტარიუსთა პალატის თავმჯდომარის არჩევნები ტარდება გენერალური ასამბლეის მიერ პირდაპირი და ფარული ხმის მიცემის საფუძველზე.	პალატის თავმჯდომარის თანამდებობაზე აირჩევა პირი, რომელსაც აქვს ნოტარიუსად მუშაობის, სულ მცირე, 5-წლიანი გამოცდილება.
4	პოლონეთი	ნოტარიუსთა პალატის პრეზიდენტი აირჩევა წევრთა საერთო კრებაზე 3 წლის ვადით ღია კენჭისყრის საფუძველზე.	დამატებითი კრიტერიუმები დადგენილი არ არის.
		ნოტარიუსთა გაერთიანება აერთიანებს ნოტარიუსთა პალატებს და ნოტარიუსთა ეროვნულ საბჭოს. ნოტარიუსთა ეროვნული საბჭო ნოტარიუსთა წარმომადგენლობითი ორგანოა. ნოტარიუსთა ეროვნული საბჭოს პრეზიდენტი არის ნოტარიუსი, რომელიც საბჭოს წევრთა რიგებიდან აირჩევა 3 წლის ვადით ფარული ხმის მიცემის საუძველზე.	დამატებითი კრიტერიუმები დადგენილი არ არის.

5	გერმანია	თითოეულ ნოტარიუსთა პალატას აქვს თავისი დებულება, რომელიც განსაზღვრავს პრეზიდენტის არჩევის წესს. გერმანიის ერთ-ერთი მიწის (ვესტფალენის) ნოტარიუსთა პალატის დებულების თანახმად, მაგალითად, ასამბლეა აერთიანებს 11 წევრს, რომელიც თავისი რიგებიდან ირჩევს პრეზიდენტს და მის მოადგილეებს.	იმ რეგიონებში, სადაც, ასევე, საქმიანობენ ე.წ. ადვოკატ-ნოტარიუსები, მოქმედებს დათქმა, რომ პრეზიდენტი უნდა იყოს ნოტარიუსი, რომელიც მხოლოდ ნოტარიუსის საქმიანობას ახორციელებს.
		გერმანიის ფედერალური ნოტარიუსთა პალატის პრეზიდენტი აირჩევა წარმომადგენლობითი კრების მიერ ოთხი წლის ვადით. არჩეულად ჩაითვლება პირი, რომელიც მიიღებს ხმების ნახევარზე მეტს.	გერმანიის ფედერალური ნოტარიუსთა პალატის პრეზიდენტის მიმართ კანონმდებლობა არ ითვალიწინებს რაიმე განსაკუთრებულ მოთხოვნებს, მაგრამ ადგენს მოთხოვნებს პრეზიდიუმის წევრისთვის (დებულების თანახმად, პრეზიდიუმის წევრად შეიძლება აირჩეს ნოტარიუსთა გაერთიანების ნებისმიერი წევრი. პრეზიდიუმის წევრად არ შეიძლება აირჩეს პირი, რომელსაც შეუსრულდა 65 წელი, უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში უკვე იყო პრეზიდუმის წევრი ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არ შეუძლია შესაბამისი ფუნქციების შესრულება).
6	ლიტვა	ნოტარიუსთა პალატის პრეზიდენტი აირჩევა ნოტარიუსთა პალატის წევრთა საერთო კრებაზე ფარული კენჭისყრის საფუძველზე სამი წლის ვადით დამსწრეთა აბსოლუტური უმრავლესობით.	ნოტარიუსთა პალატის წევრმა, რომელსაც სურს, გახდეს ნოტარიუსთა პალატის პრეზიდენტი, ნოტარიუსთა პალატის საერთო კრებაზე უნდა წამოაყენოს თავისი კანდიდატურა. ამასთან, ის ვალდებულია, საერთო კრებაზე წარადგინოს მომავალი სამი წლის სამოქმედო გეგმა/პროგრამა.
7	ჩეხეთი	ნოტარიუსთა პალატისა და პალატის ორგანოების	დამატებითი კრიტერიუმები დადგენილი არ არის.

		არჩევა ხდება ფარული ხმის მიცემის საფუძველზე და აირჩევიან სამი წლის ვადით. პალატის პრეზიდენტი აირჩევა ასამბლეის მიერ.	
8	შვეიცარია	ნოტარიუსთა გაერთიანების პრეზიდენტი აირჩევა გენერალური კრების მიერ 3 წლის ვადით.	დამატებითი კრიტერიუმები დადგენილი არ არის.
9	ჰოლანდია	ჰოლანდიის ნოტარიუსთა ორგანიზაციის გამგეობის თავმჯდომარე აირჩევა 2 წლის ვადით.	დამატებითი კრიტერიუმები დადგენილი არ არის.
10	ავსტრია	ცენტრალური ნოტარიუსთა პალატის პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს კოლეგიების საბჭოს ნებისმიერი წარმომადგენელი.	განსაკუთრებული მოთხოვნები პრეზიდენტის კანდიდატის მიმართ არ არის დადგენილი.
		ნოტარიუსთა კოლეგიის პრეზიდენტი აირჩევა ფარული კენჭისყრით 3 წლის ვადით ყველა კოლეგიის მიერ.	განსაკუთრებულ მოთხოვნებს ნოტარიუსთა კოლეგიის პრეზიდენტობის კანდიდატის მიმართ კანონმდებლობა არ აწესებს, გარდა იმისა, რომ იგი უნდა იყოს არჩეული ნოტარიუსების (და არა ნოტარიუსობის კანდიდატების) ჯგუფიდან.

გამოყენებული ლიტერატურა

სტატიები/ნაშრომები:

1. Bogdan CIUCA, Few Perspectives on the Comparative Law Concerning Notarial Activity, 2009 Acta U. Danubius Jur.;
2. K.M.M. de Wit and A.A. Tomlow, National Report: The Netherlands, Notarius International 1-2/2002;
3. Lena Dannenberg-Mletzko, Gerhard Baumgärtner-Wrede, „ნოტარიატი გერმანიაში“ ;
4. European Commission for the Efficiency of Justice, 1037-ე შეხვედრა (8 ოქტომბერი, 2008);
5. Evaluations of Justice, European Commission for the Efficiency of Justice (CEPEJ);
6. ევროპის ნოტარიუსთა 25-ე კონფერენციის გახსნა ;
7. Wielgosz Joanna , Wiss. Mitarbeiterin, „ნოტარიატი საფრანგეთში“;
8. L. Dannenberg-Mletzko et al., *Notariatskunde* (Wiesbaden 2005).

კანონმდებლობა:

1. პოლონეთის სანოტარო სამსახურის შესახებ აქტი №14/1991;
2. ესტონეთის აქტი ნოტარიატის შესახებ ;
3. რუმინეთის ნოტარიუსთა ეროვნული გაერთიანების დებულება ;
4. რუმინეთის ნოტარიუსთა და ნოტარიული საქმიანობის შესახებ №36/1995 კანონი ;
5. გერმანიის ნოტარიატის რეგულირების შესახებ დებულება ;
6. გერმანიის ფედერალური ნოტარიუსთა პალატის დებულება ;
7. ავსტრიის ნოტარიუსთა დებულება ;
8. შვეიცარიის ნოტარიუსთა გაერთიანების სტატუტი ;
9. ნოტარიატის შესახებ ბაზელის კანონი ;
10. ფრაიბურგის კანონი ნოტარიატის შესახებ ;
11. თურქეთის კანონი სახელმწიფო ნოტარიუსთა შესახებ ;
12. ჩეხეთის რესპუბლიკის აქტი ნოტარიუსთა და მათი საქმაინობის შესახებ ;
13. ლიტვის კანონი ნოტარიატის შესახებ ;
14. ლიტვის ნოტარიუსთა პალატის დებულება;
15. ჰოლანდიის აქტი ნოტარიატის შესახებ .

ოფიციალური ვებგვერდები:

1. ევროპის სასამართლო ქსელი სამოქალაქო და სავაჭრო საკითხებში, პოლონეთი;
2. ევროპის ნოტარიუსთა გაერთიანება, სიახლეები ;
3. საფრანგეთის ნოტარიუსთა პალატა ;
4. საფრანგეთის ნოტარიუსთა უმაღლესი საბჭო ;
5. ნოტარიატი შვეიცარიაში, შვეიცარიის ნოტარიუსთა გაერთიანება ;
6. ევროპის საბჭოს ზოგადი მიმოხილვა რუმინეთის სასამართლო სისტემის შესახებ ;
7. ნოტარიატი და მისი ორგანიზაცია, ფედერალური ნოტარიუსთა პალატა ;
8. ჰოლანდიის ნოტარიუსთა ორგანიზაცია ;
9. ნოტარიუსთა საერთაშორისო გაერთიანება .